**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/220823/2**

**ქ. თბილისი** **22 აგვისტო, 2023 წელი**

**ხელშეკრულების დამდები მხარეები:**

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ №204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

**(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)**

და მეორე მხრივ **შპს „ოფის მიქსი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის არჩილ ბეჟუაშვილის სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მას.,V კვ., კორპ. 15, ბინა 54, ტელ : +995 32 232 4250, +995 595 484 000; ელ-ფოსტა: office@officemix.ge ს/კ №401951456, სს „პროკრედიტ ბანკი“; ბანკის კოდი: MIBGGE22, ანგარიშის ნომერი: GE26PC0183600100026846

**(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)**

**1. შესყიდვის ობიექტის შესახებ ინფორმაცია**

1.1 შემსყიდველმა გამოაცხადა 2023 წლის სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით გამოაცხადა **დოკუმენტების გასანადგურებელი აპარატების (შრედერები) (CPV30191400 - დოკუმენტების გასანადგურებელი აპარატები)** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი **(NAT230015501)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **2 500.00 (** ორი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარად.

1.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2 500.00 (** ორი ათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

1.3 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან.

**2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1-ში მოცემულ მახასიათებლებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

**3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები**

3.1 შესყიდვის ობიექტის დასახელებები, რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ფასი და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**4. საქონლის მიწოდების პირობები**

4.1. საქონლის მიწოდება ყველა ხარჯის გათვალისწინებით მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში;

4.2. საქონელის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, აბზიანიძის N4.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 მუხლით და გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 5.2. პუნქტის საფუძველზე არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ამავდროულად განესაზღვრება არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღე რათა უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).

5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

**6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მოწოდების შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტების (მათ შორის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა) წარმოდგენიდან (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

**7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

**7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.5. დროულად განიხილოს “შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

**7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:**

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

**8.3 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:**

8.3.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

**8.4 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:**

8.4.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;

8.4.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

**9. ფორს-მაჟორი**

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი` ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

**11. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

**13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

13.1 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების გასანადგურებელი აპარატების (შრედერები) მიწოდების პროცესში გამოვლინდა, რომ მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება ამ ხელშეკრულების დანართი N1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს ან/და არ შეესაბამება შერჩევა-შეფასების ეტაპზე წარმოდგენილ ნიმუშს ან/და თუ დარღვეულია ამ ხელშეკრულების 7.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, აღნიშნული ჩაითვლება არაჯეროვან შესრულებად და შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელი დააჯარიმოს ერთჯერადად მთლიანი ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

13.5.შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ ფაქტზე დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,15%-ის ოდენობით.

**14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**15.საგარანტიო პირობები:**

15.1. შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი დანართი N1- ის შესაბამისად;

15.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), შესაბამისობაში იქნება N1 დანართში მოყვანილ მაჩვენებლებთან და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის (დეფექტის), აღმოფხვრა და/ან წუნდებული სქონლის შეცვლა ახლით შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

**16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლით განსაზღვრული პირობისა.

| „შემსყიდველი“ | „მიმწოდებელი“ |
|---|---|
| სსიპ „შემოსავლების სამსახური“ | შპს „ოფის მიქსი“ |
| --- | --- |
| **მიხეილ ახვლედიანი**<br>ფინანსური დეპარტამენტის უფროსი | **არჩილ ბეჟუაშვილი**<br>დირექტორი |
| LEPL REVENUE SERVICE<br>Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE<br>Date: 2023.08.22 16:58:19 +04'00' | Archil Bezhuashvili 01006009655<br>Digitally signed by Archil Bezhuashvili<br>Date: 2023.08.22 15:40:29 |

| N | დასახელება | მახასიათებლები | მწარმოებელი ქვეყანა/ მწარმოებელი კომპანია/მოდელი | რაოდენობა (ცალი) | ერთეულის ღირებულება (ლარი) | მთლიანი ღირებულება (ლარი) | საგარანტიო ვადა | მიწოდების ვადა | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **დოკუმენტების გასანადგურებელი აპარატების (შრედერი)** | ანადგურებს A4 - 80 გრ/მ2: 8ფურცელს, საკრედიტო ბარათს, სტეპლერი ტყვიას, სკრეპს.<br>უსაფრთხოების დონე (DIN 66399 სტანდარტის მიხედვით): P-4/F-1/T-4/E-3<br>ავტომატური სტარტის და გაჩერების ფინქცია.<br>ჭრის სიჩქარე: 3.5მ/წთ<br>კონტეინერის მოცულობა: 12ლიტრი<br>ძრავი: 205ვატი<br>ხმაურის დონე: 65db.<br>უწყვეტი მუშაობის დრო: 25წუთი.<br>გააჩნია კომფორტული მიწოდების და რევერსის ფუნქცია.<br>შეზეთვის და სერვისის გარეშე ექსპლუატაციის ფუნქცია.<br>გადატვირთვის ინდიკაროტი.<br>გადახურებისგან დამცავი დისპლეი. | მწარმოებელი Novus Dahle GmbH, მოდელი Dahle 120, წარმოებულია კომპანიის ჩინეთის ქარხანაში | 10 | 250.00 | 2500.00 | მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი. | ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღე. | ქ. თბილისი, აბზიანიძის N4. |

მწარმოებლის ვებ გვერდის ბმული: https://www.novus-dahle.com/en/product/dahle-papersafe-120/